

ჯგუფი ენერგო-პრო

**მდგრადი
განვითარების
პოლიტიკა**



მდგრადი განვითარების პოლიტიკა (“პოლიტიკა”)

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის წინასიტყვაობა

ძვირფასო კოლეგებო,

ENERGO-PRO a.s. (შემდგომში „კომპანია“) თავის კომპანიონებთან ერთად (“Group” ან “ENERGO-PRO”) წარმოადგენს წამყვან ჰიდროელექტროენერჯის ოპერატორს, გამანაწილებელს და მომწოდებელს ცენტრალურ და ადმოსავლეთ ევროპაში, აქტიურად განვითარებად რეგიონში ელექტროენერჯიზე მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან და საჭიროებების გათვალისწინებასთან შესაბამისობაში მოყვანით.

წლიურად ჩვენ ვაწარმოებთ 3 ტერავატ/სთ-ზე უფრო მეტ ელ. ენერჯიას და ვემსახურებით 2 მილიონზე მეტ ქსელის მომხმარებლებს, 11 ტერავატ/სთ ელექტროენერჯის განაწილებით საქართველოსა და ბულგარეთში. ჯგუფს ჰყავს 9 000-ზე მეტი დასაქმებული ადამიანი, ჩვენი საინჟინრო ოპერაციები რომელიც მოიცავს Litostroj Engineering a.s and Litostroj Power d.o.o. ახორციელებს და აწარმოებს ჰიდროტურბინებს და ჰიდროტექნიკურ მოწყობილობას, 100 წელზე მეტი სამეწარმეო ტრადიციის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ჩვენი მდგრადი განვითარებისა და რეპორტირების ვალდებულების შესაბამისად მივიღეთ საპასუხისმგებლო მიდგომა ბიზნესის მიმართ, ჩვენს პროექტებში, მშენებლობებსა და ოპერაციებში მდგრადი განვითარების სისტემატიური ინტეგრაციით გრძლევადიანი წარმატების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული წარმოადგენს ფონს რის მიხედვითაც აღნიშნული მდგრადი განვითარების პოლიტიკა არის გამოყენებული. პოლიტიკა რომელიც წარმოიშვება GIIP-დან (Good International Industry Practices), რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების სამართლიანობის და კანონიერების უზრუნველყოფას დაგეგმარების, შესრულების, შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგის სწორი, ზუსტი პროცესის საშუალებით.

ჩვენ ვიწვევთ ყველა პერსონალს, კონტრაქტორს და ქვეკონტრაქტორს როგორც ცენტრალურ დონეზე, ასევე ფილიალებში, რათა შევისწავლოთ და დავიცვათ ის პირობები, რომელიც მოცემულ პოლიტიკაში არის წარმოდგენილი, თითოეული მისი ფუნქციის და როლის შესაბამისად.

დასასრულს, აღნიშნული პოლიტიკის წარმატებულად განხორციელება მკაფიოდ არის დამოკიდებული თანამშრომელთა და კონტრაქტორთა მობილიზაციაზე, (ი) რომლებიც კავშირში არიან/დაინტერესებულები არიან მიიღონ ქვემოთ დეტალურად მოცემული მოთხოვნები, სამთავრობო უწყებების ეფექტური ჩართულობა (იი) ამ პოლიტიკის ფაქტიური შესრულების მისაღებად; და (იიი) ჩვენი თანამშრომლების და კონტრაქტორების ვალდებულებები მდგრადი განვითარების და გარემოს, სოციალური და მართვის (ESG) ანგარიშგებაში/რეპორტირებაში. ასეთი ვალდებულებები დაეხმარება ENERGO-PRO-ს გახდეს უფლების აღმჭურველი ხარისხის იმიჯის ხელშეწყობაში, წვლილი შეიტანოს ჩვენი პროექტების მდგრად განვითარებაში, გახდეს არჩევანისა და კომერციული კონკურენტუნარიანი უპირატესობის პარტნიორი დაბოლოს, ხელმისაწვდომობა ფულად სახსრებზე/კაპიტალზე რომელიც მოიცავს green bonds, ფინანსური პარტნიორებისგან ESG ის და მდგრადი განვითარების ანგარიშგების მოთხოვნით.

ჯგუფის მომავალი და მისი უწყვეტი წარმატება და ზრდა დამოკიდებულია ყოველი ჩვენთაგანის ვალდებულებაზე რომელიც მიმართულია მდგრადი განვითარებისთვის.



პატივისცემით,

იარომირ ტესარი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ENERGO-PRO a.s.

1. შესავალი

ჩვენი ძირითადი ბიზნესი არის ჰიდროენერგეტიკის სექტორი. ჩვენ ოპერირებას ვუწევთ ჰიდროელექტრო სადგურებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში. ჩვენ ასევე ვართ ჩართული ელექტროენერჯის დისტრიბუციასა და ელექტროენერჯის ვაჭრობაში, ოპერირებას ვუწევთ რა მსხვილი მასშტაბის სადისტრიბუციო ქსელს ბულგარეთსა და საქართველოში 2.3 მილიონზე მეტი ქსელის მომხმარებლით.

ჩვენი კომპანია დაფუძნდა 1994 წელს ჩეხეთში, ქალაქ სვიტავში, ეკონომიკურ გარდამავალ პერიოდში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპაში ჰიდროელექტროენერჯის მოდერნიზაციასა და რეაბილიტაციაში მონაწილეობით. ჩვენი ჰიდროელექტრო სადგურების მთლიანი დადმული სიმძლავრე არის 1,241 მეგავატი, მაშინ როდესაც წლიური ელ.ენერჯის გამომუშავება არის 3.5 ტერავატ/საათზე მეტი.

მრავალეროვნული ჯგუფის ENERGO-PRO-ს ერთი ნაწილი, რომლის სათავე ოფისი პრადში მდებარეობს, წყლის ტურბინების სლოვენური მწარმოებელია - Litostroj Power d.o.o., მნიშვნელოვანი პროექტებით კანადაში, ეგვიპტეში და ისლანდიაში. Litostroj Engineering a.s., რომელიც დარეგისტრირებულია ჩეხეთის რესპუბლიკაში (ცნობილი როგორც CKD Blansko Engineering a.s.), ფოკუსირებას აკეთებს კვლევაზე, პროექტზე და საინჟინრო სამუშაოებზე. Litostroj Group ასევე ამარაგებს ჰიდროელექტროსადგურებს მოწყობილობით, რომელიც მოიცავს ტუმბოს სარეზერვო სადგურებს და სატუმბ სადგურებს.

ENERGO-PRO არის აქტიურად დაინტერესებული მდგრად განვითარებაში და იმ საზოგადოების კარგად ყოფნასა და დაცვაში, რომლებიც ცხოვრობენ იმ ზეგავლენის ქვეშ, სადაც ჩვენი ინვესტიციები ხორციელდება. არსებულ ადგილას. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელსაც ჩვენ ვიღებთ დღეს მოიცავს არა მხოლოდ ჩვენს სიცოცხლეს, არამედ მომავალი თაობის სიცოცხლესაც. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვჯერა რომ ეს არის სასიცოცხლო/არსებითი მდგრადობის ინტეგრირებისთვის ჩვენ ყოველდღიურ საქმიანობაში.

წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისთვის, ENERGO-PRO ხელმძღვანელობს ადამიანური უფლებების საერთაშორისო წესდებით, საერთაშორისო კონვენციებით, რომელიც ეხება გარემოს დაცვას, GIIP და ძალისხმევას ებრძოლოს კლიმატის ცვლილებას (ჩარჩო შეთანხმება და პარიზის შეთანხმება), ასევე საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის კონვენციების. (ILO).

2. მიზნები და ამოცანები

აღნიშნული დოკუმენტის მიზანია წარმოადგინოს ჩვენი მდგრადი განვითარების ვალდებულებები. ის აღწერს მმართველობა/ხელმძღვანელობას გარემოს და ბიო მრავალფეროვნებას, კლიმატურ ცვლილებას, საზოგადოებას, მართვას და ადამიანური რესურსების ვალდებულებებს. მდგრადი განვითარების პოლიტიკა ეხება კომპანიის ყველა აღმასრულებელს, ხელმძღვანელობას, თანამშრომლებს, კონტრაქტორებს და ქვეკონტრაქტორებს.



ENERGO-PRO

საყოველთაო მიზნები და ამოცანები:

- მდგრადი განვითარების საუკეთესო მართვის პრაქტიკის გამოყენება ჩვენი საქმიანობების დაგეგმარებაში, დაპროექტებაში, მშენებლობასა და ოპერაციებში;
- კონტრაქტორების და მათი ბიზნეს საქმიანობის პასუხისმგებლობის გაცნობიერება რათა პატივი ეცეს ადამიანთა უფლებებს, როგორც მდგრადი განვითარების განუყოფელი ნაწილი;
- ადამიანთა უფლებების გაერთიანებული ერების საყოველთაო დეკლარაციის და უსაფრთხოებასა და ადამიანთა უფლებებზე ნებაყოფლობითი პრინციპების მხარდაჭერა;
- ადგილობრივი კულტურის, თანამშრომლებთან ურთიერთობებში ჩვეულებებისა და ღირებულებების, საზოგადოებისა და სხვა მეწილეების პატივისცემა;
- უზრუნველყოს შეღავათების სამართლიანი და თანასწორი ხელმისაწვდომობა ინკლუზიური გზით და არ აფერხებდეს ძირითადი სამედიცინო მომსახურებების, სუფთა წყლის და სანიტარიის, ენერჯის, უსაფრთხო და ღირსეული სამუშაო პირობების ხელმისაწვდომობას და (თუ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი კომპენსაცია და / ან რეაბილიტაციის ზომები) მიწის უფლებებსა და განსახლებას;
- შეესაბამებოდეს მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს ენერგოეფექტურობის მაქსიმიზაციისა და ნარჩენების წარმოების შემცირებისა და დამაბინძურებლების, სათბურის გაზების ემისიების ან კლიმატის ცვლილების სხვა მამოძრავებლების შესამცირებლად;
- ბუნებრივი რესურსების გამოყენება სიცოცხლისუნარიანად და თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მთავრობებთან და ჯგუფებთან კლიმატური ცვლილებებისთვის მისამართად;
- მიზნად დასახვა რათა შეამცირო და შეამსუბუქო საზიანო გარემოს გავლენა საერთაშორისოდ აღიარებული ბიზნესის საუკეთესო პრაქტიკისა და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ადგილობრივი ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა მნიშვნელოვან რესურსებზე და ეკოსისტემებზე აქცენტირებით და ბიო ნაირსახეობისა და მრავალფეროვნების ან პრიორიტეტული ეკოსისტემების მომსახურების პრინციპის “არავითარი საერთო კარგვა”-ს გამოყენებით;
- გამოყენებად ადგილობრივ კანონმდებლობასთან თანხვედრა.

3. პრინციპები

ჩვენ შევუერთდით გაეროს გლობალურ კომპაქტს 2021 წელს და როგორც ასეთი ვართ ადამიანთა უფლებების, შრომის, გარემოს და ანტიკორუფციული 10 პრინციპის მიმდევარი. ეს პრინციპებია:

<p>ადამიანთა უფლებები</p> <p>პრინციპი 1: ბიზნესი უნდა უჭერდეს მხარს და პატივს სცემდეს საერთაშორისოდ გამოცხადებულ ადამიანთა უფლებების დაცვას</p> <p>პრინციპი 2: დარწმუნდე, რომ ისინი არ არის კონფლიქტში ადამიანთა უფლებების არასწორ /შეურამცხოფელ გამოყენებაში.</p> <p>შრომითი საქმიანობა</p>
--



პრინციპი 3: ბიზნესმა უნდა გაუწიოს დახმარება გაერთიანების თავისუფლებას და კოლექტიური შეთანხმების პირობებზე მოლაპარაკების უფლების ეფექტურ აღიარებას

პრინციპი 4: იძულებითი და სავალდებულო/დამავალდებულებელი შრომის ყველა ფორმის ელიმინაცია

პრინციპი 5: ბავშვთა შრომის ეფექტური აღმოფხვრა

პრინციპი 6: დასაქმებისა და პროფესიასთან შეებაში დისკრიმინაციის ელიმინაცია

გარემო

პრინციპი 7: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს გამაფრთხილებელ/პრევენციულ მიდგომას გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

პრინციპი 8: აილოს ინიციატივა გარემოსდაცვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების უფრო მეტი დახმარებისა და ხელშეწყობისთვის.

პრინციპი 9: გარემოსთვის არასაზიანო ტექნოლოგიების განვითარებისა და გავრცელების ხელშეწყობა.

ანტიკორუფცია

პრინციპი 10: ბიზნესმა უნდა იმუშაოს კორუფციის საწინააღმდეგოდ ყველა ფორმით, გამომალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.

ამასთან ერთად, ENERGO-PRO-მ მიიღო შემდეგი დამატებითი პრინციპები:

- ღირებულების უზრუნველყოფა ჩვენი პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის;
- შეესაბამებოდეს ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობას, სადაც ვმუშაობთ და მრეწველობის კარგ საერთაშორისო პრაქტიკას (მკსპ).
- დანერგილი მდგრადი განვითარება სტრატეგიული ბიზნესის გადაწყვეტილებებში, დაგეგმვა, დაპროექტება და საოპერაციო საქმიანობა;
- გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინება;
- ბიზნესის წარმართვა სამართლიანად და პატიოსნად;
- ჩვენი მდგრადი განვითარების პოლიტიკის გაცხადება/გამჟღავნება და კომპანიის აღმასრულებლების, ხელმძღვანელების, თანამშრომლების, კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორებისთვის შესაძლებლობის მიცემა გაეცნონ წინამდებარე პოლიტიკას და დაცვან და შეასრულონ მისი ვალდებულებები;
- შეასრულონ მდგრადი განვითარების ამოცანები და შეეცადონ უწვეტად გააუმჯობესონ ჩვენი მდგრადი განვითარების საქმიანობა;
- 2022 წლისთვის ESG/მდგრადობის ოფიციალური ანგარიშების სავალდებულო წარდგენა.

4. მდგრადი განვითარების ვალდებულებები

პოლიტიკა აღწერს წესებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომელიც განკუთვნილია მდგრადი განვითარებისადმი მართვის/ხელმძღვანელობის ვალდებულებების მიმართვაზე. კერძოდ:



ENERGO-PRO

გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების, კლიმატური ცვლილებების საკითხების მიმართ საზოგადოების მიმართ, მართვას დაქვემდებარებული და ადამიანური რესურსების მიმართ. აღნიშნული მდგრადი განვითარების ვალდებულებები ეხება ყველა ჩვენ საქმიანობას, წარმოადგენს სტრატეგიული გადაწყვეტის, პროექტის დიზაინის, მშენებლობისა და საოპერაციო ფაზებს. მდგრადი განვითარების პოლიტიკა გვავალდებულებს შემდეგი სახით:

მართვა/ხელმძღვანელობა

ჩვენ ვაღიარებთ მადემონსტრირებელი მდგრადი განვითარების მნიშვნელობას მართვის ყველა დონეზე:

- ჩვენი მდგრადობის პოლიტიკის დამტკიცებისა და მიწოდების საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება აღმასრულებელ დირექტორს და ENERGO-PRO-ს დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს და ESG კომიტეტს;
- აღმასრულებლები პასუხისმგებელი არიან მადემონსტრირებელ მართვაზე და ვალდებულებაზე მდგრადი განვითარების შედეგების მისაღწევად და ეხება ჩვენ მდგრადი განვითარების პოლიტიკას, წესებს და სტანდარტებს გადაწყვეტილების მიღებაში და რესურსების განაწილებაში;
- გენერალური მენეჯერი და უწყებრივი მენეჯერები პასუხისმგებელი არიან მდგრადი განვითარების შედეგების მიღწევის უზრუნველყოფაზე და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, პრინციპების, წესების და სტანდარტების გამოყენებაზე და შესაფერისი/შესაბამისი ნაბიჯების გადადგმაზე, რათა უზრუნველყოს, რომ სამუშაო ძალა კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორების ჩათვლით მოდიოდეს აღნიშნული პოლიტიკის მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში;
- პერსონალი პასუხისმგებელია მდგრადი განვითარების პოლიტიკის და პრინციპების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებაში და ყოველდღიურ აქტივობაში;
- თანამშრომლებს მოეთხოვებათ ხელი შეუწყონ სამუშაო გარემოს, რომელიც ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების შესრულების უწყვეტ გაუმჯობესებას;
- აღნიშნული პოლიტიკის რეალიზაციასთან შესაბამისობაში, განვიხილავთ ხელმძღვანელი პირების, გენერალური მენეჯერებისა და მენეჯერების ანაზღაურებისა და შესრულებული სამუშაოს შედეგების კავშირს მდგრადი განვითარების მაჩვენებლებთან.

გარემო და ბიომრავალფეროვნება

ჩვენ ვაღიარებთ გარემოსა და ბიომრავალფეროვნების მენეჯმენტს, როგორც ჩვენი ბიზნესის ერთ მთლიან შემადგენელ ნაწილს და ჩვენ მიზნად ვისახავთ შევინარჩუნოთ ბუნებრივი და მატერიალური გარემო რომელსაც ჩვენი საქმიანობით მიადგა ზეგავლენა. ჩვენ:

- დავწერავთ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემებს (ESMS) და ISO სერთიფიკატებს ჩვენს ყველა ბიზნეს ერთეულში.
- ჩავდებთ გარემოსდაცვითი და ბიოლოგიური მრავალფეროვნების რისკებს ჩვენს ფართო სახის რისკის იდენტიფიკაციასა და შემსუბუქების პროცესებში;
- ინტეგრირებას მოვახდენთ ბიოლოგიური ნაირსახეობის, ბუნებრივი არეალების და ეკოსისტემების დაცვის, როგორც საკვანძო ასპექტს მდგრადი განვითარებისთვის დიზაინისა და პროექტების განხორციელებისას;



ENERGO-PRO

- ვუზრუნველყოფთ და წავახალისებთ/მხარს დავუჭერთ სამუშაო ძალას გარემოსდაცვითი შემთხვევების რეპორტირებაში და განვახორციელებთ დროულ გამოძიებას, გამომასწორებელ ქმედებებს და მივიღებთ შესაბამის ზომებს მსგავსი განმეორებით მოხდენის თავიდან აცილებისთვის;
- გავაკონტროლებთ GIIP –თან ვალდებულებებთან შესაბამისობას;
- შევამოწმებთ და ანგარიშს მოვამზადებთ წყლის მოხმარების, ნარჩენების წარმოქმნის, მათ შორის სახიფათო ნარჩენების, ჩამდინარე წყლებისა და ენერჯის მოხმარებას და მივიღებთ შესაბამის ზომებს გამოყენების შესამცირებლად.
- შევამოწმებთ ჰაერის ხარისხს, ხმაურს რეგულარულად და მივიღებთ ზომებს გამონაბოლქვის შესამცირებლად.
- დავსახავთ მიზნებს გარემოსდაცვითი და ბიონაირსახეობის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის მიმართულ საქმიანობის შესრულებაში, ყველა შემოწმებული საშუალებების, ასაკისა და დიზაინის გათვალისწინებით.
- ჩამოვყალიბებთ სტრატეგიების ბუნებრივი რესურსების, მიწის ჩათვლით, მაქსიმალურად გაიზარდოს ბუნებრივი რესურსების ეფექტურობა, მიწის ჩათვლით.
- ჩავატარებთ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს და განვახორციელებთ პროგრამებს ეკოსისტემებისა და ჰაბიტატების გასაუმჯობესებლად.
- ნარჩენების არასასაფრთხო გამოყენების, ხელახალი გამოყენების ან სამრეწველო ნარჩენების გადამუშავების თავიდან აცილება სადაც შესაძლებელია და ტექნიკის შერჩევა დაბალი ზეგავლენის მოხდენის ალტერნატივით სადაც შესაძლებელია;
- თავიდან ავიცილოთ, შევამციროთ და/ან პირვანდელი სახე დავუბრუნოთ ნეგატიურ გარემოსდაცვით შედეგებს, შემარბილებელი იერარქიის გამოყენებით. ჩვენ მხედველობაში მივიღებთ კომპენსაციას/ანაზღაურებას მხოლოდ შესაფერისი თავიდან არიდება/აცილების, მინიმუმისა და აღმდგენი ზომების მიღების შემდეგ, რომელიც იქნება გამოყენებული;
- სადაც შესაძლებელია, და მხარეებთან კონსულტაციების გამართვის შემდეგ, რეალიზაციას ჩავუტარებთ და აღვადგენთ დარღვეული მიწისა და სხვა ბუნებრივი აქტივებს რაც შეიძლება ახლოს თავდაპირველ ან წინასამშენებლო ჰაბიტატთან.

კლიმატური ცვლილებები

ჩვენ:

- შევასრულებთ ყველა სავალდებულო კანონს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით და ვიმუშავებთ პარტნიორებთან გლობალური კლიმატის პირობების გასაუმჯობესებლად.
- გვესმის ჩვენი გარდამავალი და ფიზიკური კლიმატის რისკები და შევიმუშავებთ და გავნახორციელებთ გლობალური კლიმატის ცვლილებისადმი მდგრად სტრატეგიას.
- ვიღებთ ვალდებულებას მივაწოდოთ ანგარიში GHG ემისიების შესახებ, დავსახავთ მეცნიერებაზე დაფუძნებულ მიზნებს და ვიმუშავებთ ჩვენი საქმიანობისა და ოპერაციების დეკარბონიზაციის მიმართულებით.

მოსახლეობა

ჩვენ კარგად გვესმის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის დახმარების გაწევის მნიშვნელობა იქ სადაც ჩვენ ვმოღვაწეობთ. ჩვენ:

- ჩავდებთ სოციალურ რისკებს ჩვენ ფართო სახის რისკის იდენტიფიკაციისა და შემსუბუქების პროცესებში;
- როდესაც ეს შესაძლებელია, თავიდან აიცილოთ და/ან მინიმუმამდე დაიყვანოთ თემის მიწაზე და აქტივებზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე და არქეოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედება პროექტების შემუშავებისა და განვითარების დროს.
- მოვთხოვთ ჩვენ ყველა კომპანიას დაწესდეს საჩივრის განხილვის მექანიზმის პროცედურა მხარეების შეხედულებების მიღებისთვის და უფლების მინიჭებისთვის;
- ვუზრუნველყოფთ და მხარს დავუჭერთ სამუშაო ძალას გაამყდევნოს ყველა სოციალური შემთხვევა და საჩივარი/უკმაყოფილება და განახორციელოს დროული გამოძიება, გამოსასწორებელი ქმედებები და მიიღოს შესაფერისი ზომები ხელახალი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად;
- ჩავერთვებით საზოგადოებასთან, მთავრობასთან და სხვა მხარეებთან, ხალხთან/საზოგადოებასთან სასაუბრო პროგრამის განხორციელებისთვის, რომელიც ფოკუსირდება საზოგადოების საარსებო საშუალებებზე, სიცოცხლისუნარიან ტყეებსა და ეკოსისტემებზე;
- ხელს შევუწყობთ ღია, გამჭვირვალე, ინკლუსიური და კონსტრუქციული ჩართულობას, საზოგადოებასთან, განსაკუთრებით მანდილოსნებს, ასაკოვან ხალხს და დაუცველ ფენას ყველა ასპექტში, რომელიც ეხება მათ და კავშირშია გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობასთან;
- მიზნად დავისახავთ კონსულტაციას საოპერაციო პროექტების დიზაინისა და დაგეგმვის ფაზაში, მათ შორის სოციალური და/ან გარემოსდაცვითი მართვის პროგრამების შემუშავებისას. კონსულტაცია ჩატარდება მონაწილეობითი წესით და მისაღები ფორმით.
- განახორციელოს ადგილობრივი საშუალებებით მიღწევები და სადაც შესაძლებელია უზრუნველყოს, რომ პერსონალმა და კონტრაქტორებმა განახორციელონ მიზნები ადგილობრივ სამსახურში დაქირავებასთან, სწავლებასთან და ადგილობრივ შესყიდვებთან დაკავშირებით;
- მოწოდებული გამოიყენოს ადამიანის უფლებების პრინციპი თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობით (თწით), თუ იგი მოქმედებს მკვიდრი მოსახლეობის გავლენის არეალში და რომელიც ექვემდებარება ადგილობრივ კანონმდებლობას მკვიდრი მოსახლეობის შესახებ.

მართვა/ხელმძღვანელობა

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას შესაბამისობაში მოვიდეთ აუცილებელ კანონებთან და ვაწარმოთ ბინესი ეთიკური და გამჭვირვალე გზით.

- არავითარი დაშვება/ნების დართვა აღმასრულებლების, პერსონალის და კონტრაქტორების მიერ კორუფციის რაიმე ფორმაზე და არაეთიკურ ქმედებაზე.



ENERGO-PRO

- ინფორმირებულობის ამაღლება კორუფციისა და არაეთიკურ ქმედებაზე ყველა სამუშაო ძალის, კონტრაქტორისა და მომწოდებლის მიმართ.
- პატიოსნების და სამართლიანობის უმაღლესი სტანდარტების გამოყენება ჩვენი საქმიანობის პარალელურად ყველა ბიზნეს გარიგებაში, მთავრობასთან, პარტნიორებთან და საზოგადოებასთან.
- კანონების დაცვა რომელიც მიზნად ისახავს კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლას.
- პერსონალის და კონტრაქტორების წახალისება ყველა საეჭვო ქმედების გაცხადებისთვის რომელიც მექრთამეობას და ან კორუფციას ეხება.
- შესაბამისობაში მოსვლა შესაბამის გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობასთან როგორც შესრულების მინიმუმი დონე და ყველა მოთხოვნილი დაშვების არსებობის უზრუნველყოფა.
- არავითარი შეწირულობის პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებზე.

ადამიანური რესურსები

ჩვენ ვაღიარებთ პოზიტიური სამუშაო კლიმატის შექმნისა და შენარჩუნების მნიშვნელობას. ჩვენ ჩვენი ძალისხმევით ვეცდებით მოვიზიდოთ მაღალი კვალიფიციური თანამშრომლები და ვუზრუნველყოთ, რომ ყველა თანამშრომელი და კონტრაქტორი მუშაობდეს უსაფრთხო გარემოში და იყვნენ მოპყრობილი პატივისცემითა და სამართლიანობით. კომპანიამ და კონტრაქტორებმა უნდა:

- პატივი სცენ პრინციპებს რომელიც აღიარებულია ადამიანთა უფლებების უნივერსალური დეკლარაციით, უსაფრთხოებისა და ადამიანთა უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპებით, საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის დეკლარაციით რომელიც ეხება ფუნდამენტურ პრინციპებს, უფლებებს სამუშაო ადგილზე;
- პატივი სცენ აუცილებელ კანონებს რომელიც ეხება თანამშრომლებს, თანაბარი შესაძლებლობების გარანტირებით, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე პოლიტიკურ კავშირებზე, ეროვნებაზე, ასაკზე, სქესზე, რასაზე, ეთნიკურობასა და სექსუალურ ორიენტაციაზე დაყრდნობით;
- პატივი სცენ აუცილებელ კანონებს თანამშრომელთა უფლებებზე შეუერთდნენ და/ან გაერთიანდნენ მომუშავეთა კავშირში და კოლექტიურ მოლაპარაკებებში;
- განსაზღვრონ პოლიტიკა და საქმიანობა სამუშაო სტაჟის ბალანსირების დასახმარებლად და იმ სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა რომელიც არის უსაფრთხო და დაცული, თავისუფალი ზიანის და ძალადობისგან;
- მხარი დაუჭირონ პროფესიონალური განვითარების მომზადების/სწავლების ინიციატივებს და სრულყოფილი თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- აკრძალონ ძალადობრივი, დაკავშირებული ან ბავშვთა შრომის გამოყენება ყველა ჩვენ საქმიანობაში/ოპერაციაში;
- მხარი დაუჭირონ/წახალისონ ჩართულობაზე და მრავალფეროვნებაზე სამუშაო ძალაში;
- განსაზღვრონ, პრევენცია მოახდინონ, შეამსუბუქონ და განაცხადონ შრომითი სტანდარტის ნებისმიერ რეალურ ან პოტენციურ დარღვევაზე;
- განახორციელონ და წარმოადგინონ თანამშრომლის საჩივრის მექანიზმი ყველა ბიზნეს ერთეულში.
- სამსახურში აიყვანოს და წახალისოს მომუშავე პერსონალი დამსახურებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით;



ENERGO-PRO

- მოეპყროს /მოექცეს ყველა მუშა ძალას პატივისცემით და არ დაუშვას სექსუალური ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგის ან დარღვევის რაიმე ფორმა;
- გაზარდოს სამსახურში აყვანის შესაძლებლობები და ფუნქციონალური აქტიურობა ადგილობრივი მოსახლეობის/საზოგადოებისა და რეგიონის დონეზე;
- აღიაროს ჩვენი პერსონალის, კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორების პასუხისმგებლობა ადამიანთა უფლებების პატივისცემაზე როგორც გარემოს დაცვის, სოციალური და მართვის და მდგრადი განვითარების ერთი მთლიანი განუყრელი ნაწილი;
- შექმნან ძლიერი ბრენდი მოქნილი ერთობლივი კულტურის შენებით და თანამშრომელთა ჩართულობით ENERGO-PRO-ს ოპერაციების პარალელურად.

5. განაწილება

აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია კომპანიის ვებ-გვერდზე, კომბინირებული ბიზნესის შერჩეული სტანდარტული ვადებისა და პირობებით, და შესაძლებელია მიმოხილული იქნეს კომპანიის აღმასრულებლების, ხელმძღვანელების, თანამშრომლების, კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ.

6. ძალაში შესვლა

წინამდებარე პოლიტიკის ვერსია ძალაში შედის 2022 წლის მაისიდან და მთლიანად ანაცვლებს პოლიტიკის ძველ ვერსიას.